ლექციაზე დაკვირვების ფორმა.

კრიტერიუმის შესრულების ხარისხი:

0 - არ ხორციელდება; 1- ცუდად განხორციელდა; 2 - დამაკმაყოფილებლად განხორციელდა; 3 - კარგად განხორციელდა; 4 - სრულად განხორციელდა.

ბლოკი		შეფასების კრიტერიუმი	ქულა	ჯამი
1	ლექციის მომზადების დონე	ლექციის დაგეგმვა		
		ფორმულირების ლაკონურობა, სიცხადე, მისაწვდომობა		
		მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა		
2	შინაარსის შეფასება	შესასწავლი თემისა და სფეროს თანამედროვე მიღწევების შესაბამისობა		
		დაცულია მასალის მიწოდების წესები: მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ.		
		ლექციაზე თავდაჯერებულია და მისი ცოდნის დონე შეესაბამება სასწავლო კურსის სირთულეს		
		ლექტორი გრძნობს აუდიტორიის განწყობას, მართავს პროცესს და აღადგენს დაკარგულ ყურადღებას		
		ლექციის დროს სულ გამოიკვეთება გასაცნობი თემის მთავარი იდეა		
		მასალა განზოგადებულია, გამოკვეთილია ძირითადი აზრები და დასკვნები		
		ლექციის ფორმა შესაბამისობაშია მასალის შინაარსთან		
		თემა ამოწურულია ბოლომდე		
		იყენებს დროს რაციონალურად და ეფექტურად		
3	ლექტორის საქმიანობის შეფასება სტუდენტის მიმართ	თემის შესწავლის მიზნით იყენებს მოტივაციის სხვადასხვა ხერხებს, ევრისტიკულ მეთოდს. ყურადღების შეჩერების მიზნით იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს, ხუმრობს, აკეთებს ექსკურსს სხვადასხვა საკითხებზე.		
		მასალის დამახსოვრებისათვის გამოყოფს მთავარ საკითხებს და იყენებს ასოციაციის მეთოდს		
		ლექტორისა და სტუდენტების მიერ დაცულია შრომისა და უსაფრთხოების ნორმები		
		ამყარებს უკუკავშირს სტუდენტებთან		
		ხელს უწყობს აზროვნების განვითარებასა და სტუდენტების სწავლისადმი ინტერესის ფორმირებას		
		ხელს უწყობს სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის წახალისებას		
4	სტუდენების საქმიანობის შეფასება	აქვს კარგი დისციპლინა, ორგანიზაცია და ინტერესი		
		მუშაობა სტუდენტის თვითგანვითარების ხარისხის ამაღლებაზე		
		სტუდენტის საქმიანობის შეფასება ობიექტურია		
5	ლექტორის პერსონალური თვისებები	ლექცია მიყავს ენერგიულად და ემოციურად. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია (ჟესტები, მიმიკა, პაუზა) თავსებადია		
		ლექციაზე ქმნის დინამიურ ემოციურ ფონს		
		აქვს კარგი მეტყველების კულტურა, ტემპი, დიქცია, ინტენსივობა, ემოცია, ცოდნა.		
		არის კორექტული და დემოკრატიული		
6	რეკომენდაციები		საბოლოო ქულა	

ანალიზი ჩაატარა

ხარისხის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ხარისხი სულ უფრო მეტად ხდება კონკურენტუნარიანობის საფუძველი, წამყვანი ძალა, რომელსაც შეუძლია წარმატების მიღწევა. უმაღლესი განათლების სისტემა არ არის გამონაკლისი, რადგან, პირველ რიგში, მისი დანიშნულებაა კვალიფიციური სპეციალისტების გამოშვება.

მუდმივი მონიტორინგის გარეშე ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება შეუძლებელია. ლექტორის პედაგოგიური საქმიანობის ანალიზში შეფასების ძირითადი ობიექტები შეიძლება იყოს: ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარიები და სტუდენტების დამოუკიდებელი საქმიანობა.

ლექტორის ხელოვნება ხელს უწყობს სტუდენტების მუშაობის ორგანიზებას ლექციების პროცესში და წარმოადგენს სწავლების კარგ ორიენტირს. ლექციის სტრუქტურა, შინაარსის სიცხადე, მეთოდების გამოყენება და ყურადღების შენარჩუნება - ააქტიურებს სტუდენტის აზროვნებას და შრომისუნარობას, ხელს უწყობს ლექტორის კონტაქტს სტუდენტებთან, იწვევს სტუდენტების ემოციურ რეაქციას, ხელს უწყობს ჩვევების ჩამოყალიბებას, განავითარებს ინტერესს საგნისადმი. ამიტომაც არის ლექცია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზების წამყვანი და ყველაზე ეფექტური მეთოდი და მისი ხარისხის შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანია.

უნივერსიტეტის ლექციის შეფასება უნდა მოიცავდეს:

- ლექციის ხარისხის შეფასება კომისიის მიერ (დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან კომისია)
- ლექციის შეფასება მომხმარებლის (სტუდენტის მიერ);
- ლექტორის შეფასებას რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა მისი განვითარების, თუ უკუსვლის დინამიკის

მონიტორინგისათვის;

უმაღლესი სკოლის წინაშე დასმული ამოცანების სირთულე და მრავალმხრივი ხასიათი მოითხოვს განათლების ხარისხის ობიექტური, თანმიმდევრული და ეფექტიანი შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების შექმნას, რომელიც არა მხოლოდ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგების მონიტორინგს განახორციელებს, არამედ აქტიურად აკონტროლებს მისი ფუნქციონირების ხარისხს. ამ დოკუმენტში გთავაზობთ საუნივერსიტეტო ლექციების ხარისხის შეფასებას და, მთლიანობაში, ლექტორის ორგანიზაციული და მეთოდური მუშაობის შეფასებას. ლექციები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან სტრუქტურით. ყველაფერი დამოკიდებულია წარმოდგენილ მასალათა შინაარსსა და ხასიათზე, მაგრამ არსებობს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო ნებისმიერი ლექციისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ლექციის დაგეგმვა და წარმართვა.

ლექტორის მუშაობის რეიტინგული შეფასება

უნივერსიტეტის ლექტორის საქმიანობა შედგება კვლევისა და სწავლებისაგან. ჩვენი აზრით, უნივერსიტეტის ლექტორთა მიმდინარე რეიტინგი სრულად არ მოიცავს ლექტორის საქმიანობის ყველა ასპექტს. კერძოდ, სწავლების და საქმიანობის ხარისხის მონიტორინგს. გთავაზობთ ლექტორის სწავლების ხარისხის რეიტინგის განსაზღვრის სისტემას.

ლექტორის რეიტინგი არის მისი მუშაობის ხარისხის ინდივიდუალური შეფასება. შედეგების შეფასების სისტემა მიზნად ისახავს პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის დონის შეფასებას ობიექტურობას, საიმედოობას და გამოიყენება, როგორც ლექტორის ზოგადი რეიტინგის შეფასების კომპონენტი.

სარეიტინგო სისტემა ეფუძნება ლექტორის პედაგოგიური საქმიანობის ყველა კომპონენტს: ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, სემინარებს, სტუდენტების დამოუკიდებელი საქმიანობის ორგანიზებას და სხვა.

ლექტორის ზოგადი რეიტინგი, ხუთი წლის განმავლობაში მისი მუშაობის შედეგების ანალიზია. ეს პერიოდი შეიძლება იყოს ძალიან პირობითი და განსხვავდება დაწესებულების მიხედვით.

ის განისაზღვრება შემდეგი მიმართულებით:

- *პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის განვითარების დინამიკის შესწავლის მიზნით, კონკრეტულად ინდივიდუალური ლექტორისთვის და ყველასათვის;*
- *დამწყები ლექტორის შეფასებისათვის, რომელიც საჭიროებს სამუშაო გამოცდილებას და რა თქმა უნდა, სჭირდება დრო;*
- *კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით;*

წლიური რეიტინგი განისაზღვრება აკადემიური წლის განმავლობაში ჩატარებული ღია ლექციის შედეგების მიხედვით,

ყველა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა შეფასებულია 100 პუნქტიანი კომპონენტით:

"პროფესიონალიზმის მაღალი დონე" - 90-დან 100 ქულა;

"პროფესიონალიზმის საშუალო დონე" - 76-დან 89 ქულა;

"პროფესიონალიზმის დაბალი დონე" - 61-დან 75 ქულა;

"პროფესიონალიზმის ძალიან დაბალი დონე" - 0-დან 61 ქულა.

ლექტორის მუშაობის ხარისხის შეფასება შედეგების სქემის მიხედვით.

ხარისხის შეფასება თითოეული აკადემიური წლის განმავლობაში ტარდება და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ლექტორთა საორგანიზაციო და მეთოდური სამუშაოების მიმდინარე შეფასები: ლექციები, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სემინარები, სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოები.

დადებითი ქულა შეესაბამება 61 და 100 შორის.

- *ლექტორის საორგანიზაციო და მეთოდური მუშაობის უახლესი რეიტინგის საბოლოო სერტიფიკატის პოზიტიური შეფასება განისაზღვრება 61-დან 100 ქულაზე.*

ლექტორის შეფასების საშუალო დიაპაზონი $61 \le R^{\text{წელი}} \le 100$ **.**

მაგალითი 1

ლექტორის საქმიანობისა და მეთოდური მუშაობის ხარისხის შეფასების რეიტინგის გაანგარიშება ხუთი წლის ბოლოს.

ატესტაციის სახე	*სასწავლო წელი*				
	1	*2*	*3*	*4*	*5*
ღია ლექციის შეფასება	*70*	*80*	*85*	*67*	*90*
პრაქტიკული მუშაობის შეფასება	*67*	*78*	*67*	*77*	*80*
სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების შეფასება	*67*	*78*	*74*	*89*	*80*
შეფასების საშუალო მაჩვენებელი	*68*	*78*	*75,6*	*77,6*	*83,3*

მაგალითად: 1 აკადემიური წლის განმავლობაში ლექტორის შუალედრი ატესტაციის რეიტინგი გამოითვლება A ლექტორის მიმდინარე რეიტინგის შედეგების 65; 81;74.25; 77.75; 86.25 საშუალო არითმეტიკულით:

$$R_5^{\text{შეალედური}} = \frac{68 + 78 + 75,6 + 77,6 + 83,3}{5} = 76,5$$

ლექტორის ყოველწლიური საშუალო რეიტინგის გაანგარიშების მეთოდოლოგია

თითოეული აკადემიური წლის დასასრულს ლექტორის ინდივიდუალური და საშუალო წლიური რეიტინგი გამოითვლება შემდეგი ფორმულის შედეგებზე დაყრდნობით:

$$R_j^{\text{მიდინარე}} = \frac{1}{n + k + m}\left(\sum_{i=1}^{n} R_i^{\text{ლექცია}} + k * R_1^{\text{პრაქტიკა}} + m * R_i^{\text{სტ.}}\right)$$

- $R_j^{\text{მიდინარე}}$ *- ლექტორის აკადემიური წლის შედეგების რეიტინგი (j-ის სასწავლო წლის ინდექსი) - ლექციები;*
- $R_i^{\text{ლექცია}}$ *- ღია ლექციის ხარისხის შეფასება (i -ლექციის რიგითი ნომერი სასწავლო წლის განმავლობაში) - ლექცია;*
- $R_1^{\text{პრაქტიკა}}$ *- პრაქტიკის შეფასება, (i -პრაქტიკის რიგითი ნომერი აკადემიური წლის განმავლობაში) - პრაქტიკა;*
- $R_i^{\text{სტ.}}$ *- სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობაის შეფასება. (i -დამოუკიდებელი სამუშაოს რიგითი ნომერი აკადემიური წლის განმავლობაში)-სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა;*
- *k = 0j-სემესტრში პრაქტიკის არარსებობის შემთხვევაში;*
- *k = 1j- ს სემესტრში არსებული პრაქტიკა;*
- *m = 0j- ს სემესტრში სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის არარსებობის შემთხვევაში;*
- *m = 1j- ს სემესტრში სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის არსებობის შემთხვევაში;*

ყოველი აკადემიური წლის დასასრულს მასწავლებლის რეიტინგი გამოითვლება ფორმულით:

$$R_m^{\text{შუალედური}} = \frac{1}{2m}\left(\sum_{j}^{2m} R_j^{\text{მიმდინარე}}\right)$$

სადაც $R_m^{\text{შუალედური}}$ *არის ლექტორის საშუალო რეიტინგი m აკადემიური წლის დამთავრების შემდეგ*

რეიტინგული შეფასების დოკუმენტაცია

1. *ლექციების შეფასების სქემა: ლექცია, პრაქტიკული, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება.*
2. *თუ ლექტორს რამდენიმე წლის განმავლობაში 61 ქულაზე ნაკლები შეფასება აქვს, მისი მუშაობა "არადამაკმაყოფილებელია".*
3. *ლექტორის საორგანიზაციო და მეთოდოლოგიური მუშაობის ხარისხის შეფასების სქემა შედგება ლექტორების სიისაგან კურსების მიხედვით რანჟირების შემცირების შკალით. თითოეული აკადემიური წლის ბოლოს დგება ახალი სქემა.*
4. *რამდენიმე წლის შედეგების საფუძველზე ლექტორის პროფესიული ზრდის დინამიკა უნდა წარმოადგინოთ დიაგრამების სახით.*